თავისუფალი გაზეთი „პოსტსკრიპტუმი“

# P.S.

„ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში!“

## უმისამართო ამომრჩეველი

იხილეთ მე-2 გვერდზე



## ნინო ბურჯანაძე ხელისუფლებისგან ყველა იმ სასწავლებლის დახურვას ითხოვს, რომელიც შესაძლოა უკავშირდებოდეს გულენის სახელს

იხილეთ მე-2 გვერდზე

№8 (747) 25 - 31 ივლისი , 2016 გამოდის 1995 წლიდან ფასი: 70 თეთრი

# თურქეთის „დემოკრატიულ“ რესპუბლიკაში „37 წელი“ დაიწყო

დღეს 22 ივლისია, 2016 წელი. თურქეთის რესპუბლიკაში 15-16 ივლისის სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის შედეგები, რომელიც მარცხით დამთავრდა, დღეისათვის ასეთია:

დაღუპულია 300 ადამიანი; დაჭრილია 1 491; დაპატიმრებულია 38 736 მოხელე, აქედან: 2 745 სასამართლო უწყებიდან; 2 839 — სამხედრო პირი; 7 899 — პოლიციის თანამშრომელი; 8 777 — შინაგან საქმეთა სამინისტროდან; 15 200 — განათლების სისტემიდან; 492 — მეჩეთის მოლა; 257 — პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან; 393 — არასამთავრობო ორგანიზაციიდან; 47— ქალაქის მერი; 87 — გენერალი. დაკავებები გრძელდება და როგორც სახელმწიფო სათათბიროს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება გვაფრთხილებს, თურქეთის ხელისუფლების მიერ KRİTİK MGK KARARLAR,olağanüstü (საგანგებო მდგომარეობა) სამ თვეს გაგრძელდება, თუმცა დღეს ისიც აღნიშნეს, რომ თუ იქნება ხალხის თანადგომა და თანამშრომლობა (ჩვენს ენაზე — „ჩაშვება“) შეიძლება 40-45 დღეშიც შეწყვიტონ საგანგებო მდგომარეობა, ანუ, დაამთავრებენ მაშინ, როცა დემოკრატიისათვის საშიში მტრებისაგან გაწმენდენ ქვეყანას. თურქეთში, ღამით კარებზე დაუპატიჟებებელმა სტუმრებმა იმატა. იმატა დაბეზღებამ „ დემოკრატიის გადასარჩენად“. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ჩვენს მეზობელ სახელმწიფოში 21-ე საუკუნის „37 წელი“ დაიწყო.

გაგრძელება **მე-4 გვერდზე**

### განათლების მინისტრი:

# „მაგარ შარში ვართ, ხალხო, ისეთი სასწავლო გეგმა გვაქვს, რომლითაც ვერ მივაღწევთ შედეგებს“



**განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ალექსანდრე ჯეჯელავა გასულ კვირაში 400-ზე მეტ ქუთაისელ პედაგოგს შეხვდა.**

საუბარი ძირითადად ეროვნული სასწავლო გეგმის ავკარგიანობას შეეხო.მინისტრი დაინტერესდა, თუ როგორ ახერხებენ ქუთაისელი მასწავლებლები ბავშვების დაინტერესებას სასწავლო პროცესში.

მასწავლებლების პასუხებიდან გაირკვა, რომ ამას ისინი გართობის, დისკუსიის და დებატის ხარჯზე ახერხებენ. პასუხების შემდეგ მინისტრმა განაცხადა: „ჩემი მიკროკვლევის შედეგად დავადგინე, რომ ყველა კარგი მასწავლებელი, ბავშვის დაინტერესებას გაკვეთილზე ახერხებს იმის შედეგად, რომ არღვევს ეროვნულ სასწავლო გეგმას.“

**ამავე კონტექსტში მინისტრმა სკოლებში მათემატიკის საგნისთვის დათმობილ საათებზეც ისაუბრა. მისი განმარტებით, 2 საათი მათემატიკაში წილადებისთვის მცირეა და შეუძლებელია, მოსწავლემ ამ დროში რამე გაიგოს.**

„მე ყველა დარგში კარგად ვერ ვერკვევი, მაგრამ მათემატიკაში ვერკვევი კარგად. წილადებზე გვაქვს 2 საათი. ახლა მე მაქვს ასეთი მოსაზრება, რომ უნდა შევკრიბო სამინისტროს თანამშრომლები, ჩავუტარო ორსაათიანი გაკვეთილი წილადებზე. მერე გამოვცადო მათი ცოდნა და სავარაუდოდ, სამინისტროს მათი დიდი ნაწილი დატოვებს.”

გაგრძელება **მე-2 გვერდზხე**




## ორდღიანი სემინარი ჟურნალისტებისათვის, იდეით – საქართველომ უნდა გააგრძელოს სვლა ნატოსკენ

იხილეთ მე-2 გვერდზე

PSnews.ge

ISSN 1987-7056

## უმისამართო ამომრჩეველი

**საქართველოში, დაახლოებით, 25 000 უმისამართო ამომრჩეველია. ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში განმარტავენ, რომ მათი ზუსტი რაოდენობა ჯერ დადგენილი არ არის. ასეთი პიროვნებები, ძირითადად, დიდ ქალაქებში ცხოვრობენ. ცესკოს სპიკერი ანა მიქელაძე განმარტავს, რომ უმისამართო ამომრჩეველთა რეგისტრაციის დასრულება 1 აგვისტომდეა დაგეგმილი.**

„მოძრაობა – სახელმწიფო ხალხისათვის“ რეგიონალური კოორდინატორი კახა ბერიძე ეჭვობს, რომ უმისამართო ამომრჩევლების დარეგისტრირება პირველ აგვისტომდე მოესწროს. მისი აზრით, 1-ლ აგვისტომდე მათი რიცხვი უმნიშვნელოდ შეიცვლება, ეს კი ოპოზიციურ პარტიებზე უარყოფითად აისახება.

მმართველი პარტია უმისამართო ამომრჩევლებით ცდილობს გარანტირებული ხმების რაოდენობა ჰქონდეს, მიაჩნია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ადგილობრივ წარმომადგენელს. მაკა სუდაძე აცხადებს, რომ 1-ლი აგვისტოს შემდეგ აუცილებლად გადაამოწმებს, შემცირდება თუ არა ასეთი ამომრჩევლების რაოდენობა.

ახალციხეში გამოკითხული მოსახლეობის დიდი ნაწილი ამბობს, რომ რეგისტრაციასთან დაკავშირებული პრობლემები არ აქვს და 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობასაც დაბრკოლების გარეშე შეძლებს. მათი აზრით, თუ საკუთარ პოზიციას არ დააფიქსირებენ, დიდი ალბათობით, არჩევნების შედეგები გაყალბდება. არიან ისეთებიც, რომლებიც ფიქრობენ, რომ მათი არჩევნებში მონაწილეობით არაფერი შეიცვლება.

ცვლილებები, რომლებიც 2016 წლის არჩევნებში ამომრჩეველთა მონაწილეობის წესს არეგულირებს, „საარჩევნო კოდექსში“ 13 ივლისს შევიდა. ცვლილება ეხება პიროვნებებს, რომლებიც საცხოვრებელი ადგილის მიხედვით რეგისტრაციიდან იქნენ მოხსნილები; ასევე ამომრჩევლებს, რომელთა რეგისტრაციაც, იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს გადაწყვეტილებით, ძალადაკარგულად გამოცხადდა, და მათ, ვინც რეგისტრირებულები არიან მისამართის მიუთითებლად. ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში განმარტავენ, რომ განახლებული საარჩევნოსია აგვისტოს დასაწყისში გახდებახელმისაწვდომი.

„რადიო თავისუფლება“

**მთავარი რედაქტორი:**
ნატო გუბელაძე

**დიზაინი:** ირმა ბახუტაშვილი

**ოპერატორი და კორექტორი:**
ლალი კუპრაშვილი

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. არ გამოხატავს არცერთი პოლიტიკური პარტიის ინტერესებს. ავტორთა მოსაზრება შეიძლება, არ ემთხვეოდეს რედაქციისას.

**R — ნიშნით აღნიშნულია სტატია, რომელიც განთავსებულია სარეკლამო ფართზე**

**გამომცემელი** — შპს „P.S.“ („პოსტსკრიპტუმი“).
ქუთაისის სასამართლოს რეგისტრაცია
№5/ ბ-1401

გაზეთ „P.S.“-ის კლასიფიკაციის კოდი:
**UDC (უაკ) 3+32] (479.22) (054)**
**პ - 658**
**P - 86**

**მისამართი:** ქუთაისი. რუსთაველის გამზირი №37ა. პრესის სახლი.

- (032) 2 422 470, (0 431) 24-45-46.
- psnews27@gmail.com
- www.psnews.ge

### განათლების მინისტრი:

# „მაგარ შარში ვართ, ხალხო, ისეთი სასწავლო გეგმა გვაქვს, რომლითაც ვერ მივაღწევთ შედეგებს“

**პირველი** გვერდიდან

“მოკლედ, მაგარ შარში ვართ, ხალხო. ჩვენ ვამბობთ, რომ ისეთი სასწავლო გეგმა გვაქვს, რომლითაც ვერ მივაღწევთ შედეგებს. ვერ გაიგებს ბავშვი ვერაფერს. თან ხელს რომ აიწევს და გეტყვის ვერ გავიგეო, შენ ეტყვი – მორჩა, ის ორი საათი გავიდა, ახლა სხვა გაკვეთილი გაქვთ. ერთი ორ რამეს რომ ვერ გაიგებს, ჩარგავს თავს ტელეფონში, კომპიუტერში და მორჩა, დავკარგეთ ეს ბავშვი.”

“ტექნიკურად ისეთი სასწავლო გეგმა გვაქვს, რომლითაც შეუძლებელია კარგად ასწავლო. ეს საოცარი ამბავია. წიგნი რომ დავწერო ოდესმე, ამ საოცრებას შევიტან შიგნით, რომ სახელმწიფომ შექმნა ისეთი გეგმა, რომელსაც თუ დაარღვევ კარგი მასწავლებელი იქნები, თუ შეასრულებ ცუდი.”

“ვერ გავამტყუნებ ვერცერთ მასწავლებელს, ვიღაცებმა თქვეს, რომ ჯანდაბა, კაი ბატონო ორი საათი? – იყოს 2 საათი. ნოლი საათი? – იყოს ნოლი საათი. ვიცი, რომ ვერ გაიგებს? – კარგი იყოს ვერ გაიგებს. მივხვდი, რომ ამ წიგნით ვერაფერს ისწავლის? – ნუ ისწავლის. რადგან ასეა, იყოს ასე.”

“მოკლედ, ეს არის რეპუტაციის საკითხთან ერთად, ქრესტომათიული უსამართლობა. რა დავარქვა ამას, არ ვიცი: შეცდომა, ბოროტმოქმედება, უჭკუობა ნებისმიერი რამე აქედან,“- განაცხადა განათლების მინისტრმა ქუთაისელ პედაგოგებთან შეხვედრისას.



**რა იქნება ვიდეოგაკვეთილების ალტერნატივა?**

განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ქუთაისელ პედაგოგებს მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში გარე დაკვირვების კომპონენტის, ვიდეოგაკვეთლების სხვა ალტერნატივით ჩანაცვლების გზებზეც ესაუბრა.

შეხვედრაზე ალექსანდრე ჯეჯელვამ აღნიშნა, რომ მასწავლებლების უმრავლესობას არ ეკომფორტულება ვიდეოკამერასთან გაკვეთილის ჩატარება. შესაბამისად, როგორც ცნობილია, მათ აღარ ექნებათ ვალდებულება, ვიდეოგაკვეთილის ჩატარების, თუმცა, მათ საგაკვეთილო პროცესს სხვა კლასების მასწავლებლები და საგანმანათლებლო რესურსცენტრების წარმომადგენლები დაესწრებიან.

“ჟურნალისტებმა მითხრეს – აჰა ხომ გააუქმეთ ვიდეოგაკვეთილები? მე ვუთხარი – არ გავაუქმე. აბა მოგწონს? – არ მომწონს, ვაპირებ, რომ ალტერნატივები გავაჩინო.

ფაქტია, რომ საქართველოში მასწავლებლებს კამერასთან მუშაობა არ ეკომფორტულებათ. როცა მუშაობს კამერასთან და ამას თან უმატებენ, რომ ნახე შენ ამას ვინ უყურებს – კიდევ უფრო საშინელი შედეგი აქვს. ამიტომ, ალტერნატიულ გზებზე დავიწყ ეთ ფიქრი. მაგალითად, შესაძლოა, გაკვეთილებს დაესწრონ მასწავლებლები სხვა კლასებიდან და ასევე წარმომადგენლები ადგილობრივი განათლების რესურსცენტრებიდან,“-განაცხადა ჯეჯელავამ.

**მინისტრმა ამ კონტექსტში ისაუბრა ვიდეოგაკვეთილის, როგორც მექანიზმის ეფექტურობასა და იმაზე, თუ რამდენად რეალურად ასახავს ვიდეომასალა მასწავლებლის უნარ-ჩვევებს გაკვეთილის ჩატარების პროცესში.**

„შევკრიბე ჩემი კოლეგები და ვუყურეთ ერთად რამდენიმე ვიდეოგაკვეთილს. რომ დავამთავრეთ ამის ყურება ვკითხე მათ – ახლა მითხარით, ეს ადამიანი ჩვეულებრივ როგორ გაკვეთლს ატარებს? მითხრეს რომ „არ ვიცით“. ე.ი ჩვენ შევქმენით მექანიზმი, რომელიც არაფერზე არ მოქმედებს.

იცით როგორი შემთხვევები გვაქვს? დილას ათზე დაიბარა კლასი მასწავლებელმა და საღამოს ათამდე იღებდნენ გაკვეთილის დუბლებს. საღამოს 22:00 საათზე დახოცილი მოსწავლეები დაფენილი არიან კლასში. აღარ შეუძლია აღარავის.

კიდევ ერთი ძალიან საინტერესო რამეა. ერთ-ერთი ამერიკული კვლევაა, სადაც გამოიკვლიეს სიკვდილის გეშინიათ თუ არაო? ამერიკელების 42 :-ს ეშინია სიკვდილის. ხოლო კამერის ეშინია 78:-ს. ანუ სიკვდილზე უფრო საშიში აღმოჩნდა კამერა.

მე მასწავლებლებმა მომწერეს ფეისბუქზე, რომ ჩვენ მოგვწონს ვიდეოგაკვეთილები. მე ვეუბნები, რომ ვისაც მოგწონთ ღმერთმა ხელი მოგიმართოთ. ეს არ ამოვარდება სქემიდან და სურვლის მიხედვით ექნებათ მასწავლებლებს უფლება, ჩაატარონ გაკვეთილები ვიდეოთვალით ან მის გარეშე,“ – განაცხადა ალექსანდრე ჯეჯელავამ მასწავლებლებთან შეხვედრისას.

წყარო: edu.aris.ge

## ნინო ბურჯანაძე ხელისუფლებისგან ყველა იმ სასწავლებლის დახურვას ითხოვს, რომელიც შესაძლოა უკავშირდებოდეს გულენის სახელს

### ამ სასწავლებელთა სიაში ორი სკოლა ქუთაისში მდებარეობს

„დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერმა ნინო ბურჯანაძემ საგანგებო ბრიფინგზე საქართველოში არსებული ყველა იმ სასწავლებილის მინიმუმ ერთი წლით დაუყოვნებლივი დახურხვა მოითხოვა, რომლების შესაძლოა ფეთჰულა გულენის სახელს უკავშირდებოდეს.

„უნდა შეიქმნას სპეციალური სახელმწიფო კომისია, რომელიც გამოიძიებს ამ სასწავლებლებთან დაკავშირებულ საკითხს და ვიდრე საბოლოოდ არ გაირკვევა მათ მიმართ არსებული პრეტენზიის თაობაზე, სასწავლებლებს ლიცენზია უნდა შეუჩერდეს.

„ბუნებრივია, ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ ის ახალგაზრდები, რომლებიც ამ სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებელებში სწავლობენ. ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს, რომ ეს ახალგაზრდები, მათი უფლებებისა და ინტერესების შელახვის გარეშე, გადანაწილდნენ სხვა სასწავლებლებში ისე, რომ მათი სასწავლო პროცესის განხორციელებას ხელი არ შეეშალოს“- განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

მისი თქმით, ის ბრალდებები, რომელიც ისმის ამ სასწავლებლებთან დაკავშირებით, არის ძალიან სერიოზული ბრალდებები და მათი შესწავლა უნდა მოახდინოს უპირველეს ყოვლისა უშიშროების სამინისტრომ და რა თქმა უნდა, ამ პროცესში ჩართული უნდა იყოს განათლების სამინისტრო.

თურქეთში განვითარებული მოვლენების შემდეგ, თურქეთის ხელისუფლებამ არაერთგზის განაცხადა იმასთან დაკავშირებით, რომ გადატრიალების ორგანიზებაში ის ადანაშაულებს ფეთჰულა გულენს. რა თქმა უნდა, მე არ შემიძლია ვამტკიცო ან ერთი - დანაშაული ამ ადამიანისა, ან მეორე - უდანაშაულობა. არის ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორი, რაც ეხება ამ ადამიანის სახელთან დაკავშირებულ სასწავლებლებს, რომლებიც განლაგებულია საქართველოში.

მით უმეტეს, რომ რამდენიმე დღის წინ თურქეთის გენერალური კონსულის მიერ გაკეთებულ განცხადებებს ამ საკითხთან დაკავშირებით იყო ძალიან სერიოზული მითქმა-მოთქმა“-განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

„დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერმა ეჭვი გამოთქვა იმის თაობაზე, რომ საქართველოს ხელისუფლება ვერ გაბედავს ასეთი გადაწყვეტილების მიღებას. მან ასევე მოიყვანა აზერბაიჯანის მაგალითი, რომელმაც ანალოგიური სასწავლებელი, საკმაოდ პრესტიჟული უმაღლესი სასწავლებელი, სწორედ ამ მოტივით დახურა.

„მე კატეგორიულად მოვითხოვ საქართველოს ხელისუფლებისაგან ჩემს ამ ინიციატივაზე და მიმართვაზე პასუხს, იმიტომ, რომ ეს გადაწყ ვეტილება არის უმნიშვნელოვანესი საქართველოს ეროვნული და სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე.

***

აქვე გთავაზობთ იმ დაწესებულებათა სიას, რომელიც ფეთულაჰ გიულენის სახელს უკავშირდება საქართველოში. მან საგანმანათლებლო დაწესებულებების ქსელი შექმნა.

ამის შესახებ ქართული დასის ლიდერმა ჯონდი ბაღათურიამ ტელეკომპანია "პალიტრანიუსის" გადაცემა "360 გრადუსში" თურქეთში მიმდინარე მოვლენების კომენტირებისას განაცხადა.

მისივე თქმით, ფეთულაჰ გიულენმა



საქართველოში კომპანია ”ჩაღლარი” დააფუძნა. სწორედ ამ კომპანიამ შექმნა სასწავლო დაწესებულებების ქსელი. კომპანია ”ჩაღლარი”, რომლის პარტნიორიც ჯონდი ბაღათურიას განცხადებით, გიული ალასანიაა, 12 სასწავლო დაწესებულებას აერთიანებს:

დემირელის სახელობის საბავშვო ბაღი;

თბილისის სკოლა-ლიცეუმი “სხივი”;

ბათუმის რ. შაჰინის სახ. დაწყებითი სკოლა;

ქუთაისის ნიკო ნიკოლაძის სახელობის დაწყებითი სკოლა;

რუსთავის რუსთაველის სახელობის დაწყებითი სკოლა;

ბათუმის უნივ. მოსამზ. კურსები და ენათა ცენტრი;

დემირელის სახელობის კერძო კოლეჯი;

ნიკოლოზ წერეთლის სახ. საერთაშორისო სკოლა;

ბათუმის რ. შაჰინის სახ. დაწყებითი ლიცეუმი;

ქუთაისის ნიკო ნიკოლაძის სახელობის ლიცეუმი;

რუსთავის რუსთაველის სახელობის ლიცეუმი;

მარნეულის უნივ. მოსამზ. კურსები და ენათა ცენტრი.

## დემირელის სახელობის კოლეჯისა და მისი პარტნიორი სკოლების განცხადება

საქართველოში მოქმედი სკოლები: რუსთავის „შოთა რუსთაველის სახელობის სკოლა-ლიცეუმი", მარნეულის „დავით აღმაშენებლის სახელობის სკოლა", ქუთაისის „ნიკო ნიკოლაძის სახელობის სკოლა-ლიცეუმი", თბილისის „ნიკოლოზ წერეთლის სახელობის საერთაშორისო სკოლა", თბილისი სკოლა-ლიცეუმი ,,სხივი" და ბათუმის რ. შაჰინის სახელობის სკოლა-ლიცეუმი ვეხმაურებით გასულ დღეებში მედია საშუალებებით პოლიტიკოსებისა მიერ გაკეთებულ ბრალდებებს და ვგმობთ მათ მიერ იმიჯისა და რეპუტაციის შემლახველ განცხადებებს.

ზემოთ ჩამოთვლილი სასწავლო დაწესებულებები ცალსახად ვემიჯნებით ნებისმიერ პოლიტიკურ, კანონსაწინააღმდეგო და არასახელმწიფოებრივ საქმიანობას. ასე ვე ვგმობთ ნებისმიერ მცდელობას გარე და შიდა პოლიტიკურმა ძალებმა გამოიყენონ ჩვენი სკოლები, როგორც პოლიტიკური იარაღი. ჩვენთვის მიუღებელია ჩვენი მოსწავლეებისა და პედაგოგობის სახელის ხსენება ისეთ კონტექსტში როგორიცაა „ტერორიზმი" და „ექსტრემიზმი".

ბრალდებების ფონზე ვიყენებთ ჩვენს იურიდიულ უფლებას შესაბამისი რეაგირება მოვახდინოთ გაჟღერებულ ცილისწამებაზე.

# „ქართულმა ოცნებამ" საარჩევნო კამპანია ქუთაისიდან დაიწყო

**„თავისუფლება, სწრაფი განვითარება და ხალხის კეთილდღეობა - სწორედ ეს არის ჩვენი მიზანი!",- „ქართული ოცნება - დემოკრატიულმა საქართველომ" საარჩევნო კამპანია ოფიციალურად დაიწყო. პარტიის თავმჯდომარე გიორგი კვირიკაშვილმა ქუთაისში იმერეთის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები წარადგინა: გენადი მარგველაშვილი, დიმიტრი მხეიძე, კობა ნარჩემაშვილი, ცოტნე ზურაბიანი, შალვა კიკნაველიძე, ელგუჯა გოცირიძე, პაატა კვიჟინაძე, გრიგოლლილუაშვილი, სულხან მახათაძე, კობა ლურსმანაშვილი და გია მიქელაძე.**



გიორგი კვირიკაშვილი დარწმუნებულია, რომ თითოეული კანდიდატი ღირსეულად წარმოადგენს „ქართული ოცნების" გუნდს და თითოეული ადამიანის ინტერესების ერთგული დამცველი იქნება პარლამენტში.

„ჩვენ საარჩევნო კამპანიას ქუთაისიდან ვიწყებთ, - მეგობრობის, სიყვარულის, პოეზიის ქალაქიდან, დავით აღმაშენებლის ქალაქიდან, რომელიც ერთიანი საქართველოს სიმბოლოა ყველა ქართველისთვის. აქედან მინდა მივესალმო მთელ საქართველოს და ვუთხრა, რომ სწორედ გამთლიანებული და ძლიერი საქართველოა თითოეული ჩვენგანის მიზანი და ოცნება. ჩვენი პარტიის მიზანი და ამოცანაც სწორედ ეს არის. 2012 წელს „ქართულმა ოცნებამ" ბიძინა ივანიშვილის ხელმძღვანელობით და თქვენი მხარდაჭერით, შეუპოვარი ბრძოლით გაიმარჯვა არჩევნებში. ამ გამარჯვებამ გარდამტეხი როლი შეასრულა და საქართველო განვითარების სწორ გზაზე გაიყვანა.

ამ 4 წელიწადში ჩვენ ძალ-ღონე არ დაგვიშურებია და ყველაფერი გავაკეთეთ იმისათვის, რომ ჩვენი ხალხის მდგომარეობა ნაბიჯ-ნაბიჯ უკეთესობისკენ შეგვეცვალა. ჩვენ მივეცით ხალხს ის, რაც ადამიანისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია - თავისუფლება!",-განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

პრემიერმა სიტყვით გამოსვლისას საზოგადოებრივი თანხმობის მიღწევის აუცილებლობაზე გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა, რომ „ქართული ოცნების" ხელისუფლების მიზანია თითოეული მოქალაქის, მათი ოჯახების კეთილდღეობა.

გიორგი კვირიკაშვილის განცხადებით, „ქართულ ოცნებას" არც ერთი ნაბიჯი არ გადაუდგამს ვინმესთვის თვალის ასახვევად, ერთჯერადი ეფექტის მისაღებად და მოჩვენებითი სიკეთის შესაქმნელად.

გიორგი კვირიკაშვილმა ჯანდაცვის სფეროსა და სოფლის მეურნეობის მიმართულებით მთავრობის მიერ განხორციელებულ მნიშვნელოვან პროგრამებზე ისაუბრა. მათ შორის ჩ ჰეპატიტის პროგრამაზე, რომელმაც არაერთი ადამიანის სიცოცხლე იხსნა.

როგორც პრემიერ-მინისტრმა ქუთაისში შეკრებილ საზოგადოებას განუცხადა, „ქართულმა ოცნებამ" რეალურად გაათავისუფლა არა მხოლოდ ბიზნესი, არამედ,ხელისუფლების ჩარევისგან გაათავისუფლა მედია, სასამართლო, პოლიცია. დღეს კი საკუთრების უფლება დაცული და ხელშეუხებელია, ხოლო ამ წარმატებას აღიარებს ყველა - საერთაშორისო ორგანიზაციები თუ პარტნიორი ქვეყნები.

პრემიერ-მინისტრმა ქუთაისში შეკრებილ საზოგადოებას ხელისუფლების მიერ შემუშავებულ ოთხ პუნქტიან რეფორმის გეგმაზე მიაწოდა ინფორმაცია და ამ კონტექსტში ახალი ბიზნეს იდეების, განათლების სისტემის რეფორმირების, ინფრასტრუქტურის მოწესრიგების მნიშვნელობას გაუსვა ხაზი.

„ჩვენ მომავალ 4 წელიწადში უნდა ავამოძრაოთ ჩვენი ქვეყანა, სამეწარმეო სულისკვეთება გავუჩინოთ ხალხს, მივცეთ მათ საშუალება და დავეხმაროთ, რომ ადამიანებმა თავად შექმნან, დაიწყონ თავიანთი საქმე და თვითონ წარუძღვნენ საკუთარ ბიზნესს. ჩვენ ამაში ყველას ხელს შევუწყობთ და წავახალისებთ, დავაფინანსებთ ახალ იდეებს, დამწყებ ბიზნესს",-აღნიშნა პრემიერმა.

გიორგი კვირიკაშვილის თქმით, „ქართული ოცნება" დასავლური ღირებულებების ერთგულია, მტკიცედ ადგას ევროპულ გზას და არ დაუშვებს ამ გზიდან გადახვევას.

პრემიერის განცხადებით, „ქართული ოცნებისთვის" საქართველოს გამთლიანება აფხაზ და ოს ძმებთან შერიგებით იწყება და ეს გუნდი მზად არის გაუნაწილოს ჩვენს ძმებს ყველა სიკეთე.

მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, რომ 2012 წელს ქართველი ხალხი „ქართული ოცნების" გვერდით იდგა და ეს ბრძოლა მაშინ გამარჯვებით დააგვირგვინეს.

„ახლაც ბრძოლაში ვართ, მაგრამ, საბედნიეროდ, ეს ბრძოლა ახლა ჩვენი სამშობლოს წინსვლისა და განვითარებისთვის გვჭირდება. მჯერა, რომ ამ არჩევნებშიც, 8 ოქტომბერს ჩვენ ერთად აუცილებლად გავიმარჯვებთ. „ქართული ოცნება" გაიმარჯვებს და ამით საქართველო, ჩვენი სამშობლო გაიმარჯვებს",-განაცხადა პრემიერმა და იმერეთის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატებზე დეტალურად ისაუბრა.

**ქუთაისის 47-ე ოლქში კენჭს იყრის გენადი მარგველაშვილი** - ბატონი გენადი კომაროველია, ფიზიკა-მათემატიკას ასწავლიდა სკოლაში, ამჟამად სკოლის დირექტორია.უნდა ითქვას, რომ საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული დირექტორი გახლავთ. წელი არ გავა, რომ მან ქუთაისის ფიზიკა-მათემატიკური სკოლის რამდენიმე აღზრდილი არ წარადგინოს რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე თუ საერთაშორისო ოლიმპიადებში და არ მოიპოვოს გამარჯვება. ის ნამდვილად ქვეყნის სიამაყეს ზრდის ქუთაისში დღეს აქ. ის არის აქ დაბადებული და გაზრდილი კაცი და დარწმუნებული ვარ, ყურადღებას არ მოაკლებს ქუთაისსა და ქუთათურებს.

**ქუთაისის 48-ე ოლქში წარმოგიდგენთ დიმიტრი მხეიძის კანდიდატურას.** ბატონი დიმიტრი პროფესიით ექიმი გახლავთ. ის ისეთ პროფესიას ემსახურება, დარწმუნებული ვარ, ყველა ქუთაისელისთვის კარგად ნაცნობი და პატივსაცემი ადამიანია. მჯერა, რომ ძველ ქუთაისს მისი სახით ღირსეული წარმომადგენელი ეყოლება პარლამენტში.

**ქუთაისის 49-ე ოლქში წარმოგიდგენთ კობა ნარჩემაშვილის კანდიდატურას** - მას არ სჭირდება განსაკუთრებული წარდგენა. ის შინაგან საქმეთა მინისტრი იყო ცნობილი მოვლენების დროს. ბატონი კობა, პირადად ჩემთვის, ნათელი მაგალითია იმისა, როგორ უნდა აარიდო განსაცდელი საკუთარ ხალხს კრიტიკულ სიტუაციაში და გადაწყვეტილება მიიღო ქვეყნის და ხალხის სასარგებლოდ. იგი გახლავთ სამართალმცოდნეობის მაგისტრი და ეკონომიკის მაგისტრი. დარწმუნებული ვარ, ბატონი კობა ერთ-ერთი გამორჩეული პარლამენტარი იქნება.




**წყალტუბოში წარმოგიდგენთ ცოტნე ზურაბიანის კანდიდატურას.** იგი პროფესიით იურისტი გახლავთ. მაგისტრის ხარისხი მიღებული აქვს ბრემენის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ამჟამად არის იმერეთის სამხარეო ადმინისტრაციის თვითმმართველობებთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი. ცოტნეს სახით წყალტუბოს ეყოლება ახალგაზრდა და ენერგიული წარმომადგენელი, რომელიც წყალტუბოელების სათქმელს მიიტანს პარლამენტამდე.

**ზესტაფონში წარმოგიდგენთ შალვა კიკნაველიძის კანდიდატურას.** ბატონი შალვა, მართალია, ახალგაზრდაა, მაგრამ, შეიძლება ითქვას, უკვე გამოცდილი პარლამენტარია. ახლახან შემოგვიერთდა პარტიაში, „ქართული ოცნების" წევრი გახდა. ზესტაფონელია, კარგად იცის ზესტაფონელების ყველა პრობლემა და ისიც იცის, როგორ უნდა მიხედოს ამ პრობლემებს პარლამენტიდან.

**თერჯოლა-ტყიბულში „ქართულ ოცნებას" წარმოადგენს ელგუჯა გოცირიძე,** იგი გახლავთ მედიცინის დოქტორი, ჩაჩავას კლინიკის გენერალური დირექტორი. ბატონი ელგუჯა თერჯოლიდან არის და კარგად იცნობს ამ კუთხეს. წარმატებული ადამიანია თავის საქმეში და, მჯერა, რომ ასეთივე იქნება პოლიტიკაშიც. თერჯოლასაც და ტყიბულსაც ნამდვილად ღირსეული წამომადგენილი ეყოლება პარლამენტში.

**საჩხერეში ჩვენი წარმომადგენელი იქნება პაატა კვიჟინაძე,** იგი გახლავთ პარლამენტის წევრი. პატრიოტი, მებრძოლი კაცია, სამაჩაბლოსა და აფხაზეთში ომის მონაწილე.ვფიქრობ, საჩხერელებს მისი განსაკუთრებული წარდგენა არ სჭირდებათ.

**ვანი-ხონის ოლქში წარმოგიდგენთ გრიგოლ ლილუაშვილის კანდიდატურას.** იგი გახლავთ საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების მაგისტრი, ამჟამად თბილისის მერის მოადგილეა. ბატონი გრიგოლი იყო „ქართუ ბანკის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, საბაჟო დეპარტამენტის საერთაშორისო ურთიერთობების განყოფილების უფროსის მოადგილე. იგი წარმატებული იყო ყველა პოზიციაზე, სადაც მუშაობდა. დარწმუნებული ვარ, ასეთივე წარმატებული იქნება იგი პარლამენტარის რანგშიც.

**ჭიათურაში ჩვენი წარმომადგენელი იქნება სულხან მახათაძე,** იგი გახლავთ ჭიათურის გამგებელი. არც ერთი პრობლემა, რომელიც ჭიათურასა და ჭიათურელებს აქვთ, მისთვის უცხო არ არის. ამიტომაც, დარწმუნებული ვარ, ბატონი სულხანი საუკეთესო კანდიდატურაა.

**ბაღდათი-ხარაგაულის ოლქში ჩვენ ვასახელებთ კობა ლურსმანაშვილის კანდიდატურას.** იგი გახლავთ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელი, იყო ხარაგაულის რაიონის კიცხის თემის საკრებულოს თავმჯდომარე. პროფესიით საერთაშორისო სამართლის სპეციალისტია. ბატონი კობას სახით ბაღდათელებსა და ხარაგაულელებს პარლამენტში ეყოლებათ ნამდვილი გულშემატკივარი.

**სამტრედიაში „ქართულ ოცნებას" წარმოადგენს გია მიქელაძე.** ბატონი გია პოლიტიკაში ბიზნესიდან მოდის. ის წარმატებული ბიზნესმენია. მას სამტრედიაში არაერთი საქველმოქმედო საქმე აქვს გაკეთებული - დაგებული გზები, სკოლების რეაბილიტაცია, დაფინანსებული აქვს ახალგაზრდების სწავლა უცხოეთში. დარწმუნებული ვარ, იგი ასევე ნაყოფიერად იმუშავებს როგორც პარლამეტარი. ბატონი გია სამტრედიელი გახლავთ და ყურადღებას არ მოაკლებს სამტრედიელებს.

პრემიერმა გუნდის ახალი წევრების წარდგენისას აღნიშნა, რომ ერთად იზრუნებენ თავისუფალი საქართველოს სწრაფი განვითარებისათვის.

„დარწმუნებული ვარ, თითოეული კანდიდატი ღირსეულად წარმოადგენს ჩვენს გუნდს და თქვენი ინტერესების ერთგული დამცველი იქნება პარლამენტში. ჩვენ ერთად ვიზრუნებთ თავისუფალი საქართველოს სწრაფი განვითარებისთვის და ჩვენი ხალხის კეთილდღეობისთვის. მოგიწოდებთ, მხარი დაუჭიროთ თითოეულ მათგანს. წარმატება მინდა ვუსურვო ჩვენს კანდიდატებს ამ ბრძოლაში. ჩვენ ერთად გავიმარჯვებთ და ამით ჩვენი ქვეყანა, ჩვენი საქართველო, ჩვენი სამშობლო გაიმარჯვებს!",-მიმართა გიორგი კვირიკაშვილმა ქუთაისში შეკრებილ საზოგადოებას.

***

პრემიერ-მინისტრის გამოსვლამდე იმერეთის მოსახლეობას ვიცე-პრემიერმა, „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" გენერალურმა მდივანმა კახა კალაძემ მიმართა.

როგორც პარტიის გენერალურმა მდივანმა სიტყვით გამოსვლისას განაცხადა, „ქართული ოცნების" ხელისუფლებამ ქართველ ხალხთან ერთად ქვეყანა სწორიგანვითარების გზაზე დააყენა, საერთაშორისო ასპარეზზე საქართველო მშვიდ და სტაბილურ ქვეყნად წარმოაჩინა.

„ავახდინეთ დიდ წინაპართა ოცნება და რეალურად შევაღეთ ევროპის კარი! შევქმენით ახალი შესაძლებლობების ეკონომიკა! პოლიტიკისგან გავათავისუფლეთპოლიცია, სასამართლო, ჯარი! დავიწყეთ სოფლის ფეხზე დაყენება! გადავარჩინეთ უამრავი სიცოცხლე! ვამარცხებთ „21-ე საუკუნის ჭირად" წოდებულ ჩ-ჰეპატიტს! ათასობით დევნილს საკუთარი ჭერი მივეცით! გავათავისუფლეთ ბიზნესი და დავიცავით კერძო საკუთრება! ადამიანებს, განსაკუთრებით ახალგაზრდებს,განვითარების რეალური შესაძლებლობები მივეცით!",-აღნიშნა პარტიის გენერალურმა მდივანმა.

კახა კალაძის თქმით, „ქართული ოცნება" მტკიცე პოლიტიკური გუნდია, მკაფიო მიზნებით, სწორი სტრატეგიითა და ძლიერი ლიდერით.

ვიცე-პრემიერმა სიტყვით გამოსვლისას აღნიშნა, რომ ჩვენ ერთად უნდა დავუბრუნოთ აქაურობას ის ფუნქცია, რაც ოდითგანვე ქონდა.

„ჩვენი ქვეყანა - საქართველო იმსახურებს, რომ იყოს თავისუფლების, კეთილდღეობის და სტაბილურობის ცენტრი რეგიონში.ხოლო ჩვენი იმერეთი ისტორიულადიმსახურებს, რომ იყოს ინდუსტრიის, დოვლათის შექმნის და პროგრესის ცენტრი საქართველოში! ჩვენ ისე სწრაფად უნდა განვავითაროთ აქაურობა, რომ იმერეთისქალაქები არაფრით ჩამოუვარდებოდეს დედაქალაქს - აქ, ქუთაისში, ზესტაფონში და სხვა ქალაქებში თუ დაბებში უნდა იყოს მუშაობის და გართობის ყველა თანამედროვესაშუალება, თანამედროვე ინფრასტრუქტურა, სოციალური უზრუნველყოფა, ეს კი მხოლოდ შრომით, სწორი დაგეგმვით და თავისუფალი ნების ადამიანების ერთობლივიმიღწევა", - მიმართა კახა კალაძემ ქუთაისში შეკრებილ მოსახლეობას.



## ორდღიანი სემინარი ჟურნალისტებისათვის, იდეით – საქართველომ უნდა გააგრძელოს სვლა ნატოსკენ



18-19 ივლისს ქართული მედიის წარმომადგენლებისთვის NATO-ს შესახებ საზაფხულო სემინარი გაიმართა, რომელსაც ორგანიზება გაუწია არასამთავრობო ორგანიზაციამ „ინტეგრაცია - გზა ნატოსა და ევროკავშირისკენ“. ორდღიან სემინარში მონაწილეობდნენ ტელევიზიის, რადიოს, ბეჭდური და ონ-ლაინ მედიის ჟურნალისტები, როგორც ცენტრალური, ისე რეგიონული მედიიდან.

სემინარი ჩატარდა საქართველოში ნატოს სამეკავშირეო ოფისის ფინანსური მხარდაჭერით, საქართველოში რუმინეთის საელჩოს (ნატოს საკონტაქტო საელჩო), საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის სამსახურისა და ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის პარტნიორობით.

სემინარის მონაწილე ჟურნალისტებს ორი დღის განმავლობაში მიეწოდათ ამომწურავი ინფორმაცია ნატოს და ნატო-საქართველოს ურთიერთობების შესახებ. ძირითადი თემატიკა გახლდათ ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის პრინციპები, გაფართოების და პარტნიორობის პოლიტიკა, ვარშავის სამიტის დღის წესრიგი და კომუნიკე, საქართველოს ინტეგრაციის პერსპექტივა, ნატო-რუსეთის ურთიერთობა, ნატოს სამხედრო მისიები და საქართველოს მონაწილეობა ალიანსის ოპერაციებში, ნატოს სტრატეგიული კომუნიკაცია.

სემინარს უძღვებოდნენ ნატოს სამეკავშირეო ოფისისა და სახალხო დიპლომატიის წარმომადგენლები, ქართველი და უცხოელი სპეციალისტები, რომლებმაც ქართველ ჟურნალისტებთან ჩრდილო ატლანტიკურ ალიანსთან დაკავშირებულ სხვადასხვა მნიშვნელოვან თემაზე ისაუბრეს.

როგორც ლექციების დროს აღინიშნა, მიუხედავად იმისა, რომ საქათველოს არ აქვს მიღებული მაპი (გაწევრიანების სამოქმედო გეგმა), მას აქვს ყველა ის ინსტრუმენტი იმისათვის, რომ გააგრძელოს სვლა ნატოში გაწევრიანების გზაზე და საქართველო აუცილებლად გახდება ნატოს წევრი, როგორც ეს არაერთი სამიტის კომუნიკეშია აღნიშნული. ასევე, დღესაც მიმდინარეობს და მომავალშიც განხორციელდება სხვადასხვა ინიციატივები და პროგრამები, რომლითაც ალიანსი დაეხმარება საქართველოს თავდაცვის შესაძლებლობების გაძლიერებაში. დასასრულს, მონაწილეებს გადაეცათ სერთიფიკატები.

# თურქეთის „დემოკრატიულ“ რესპუბლიკაში „37 წელი“ დაიწყო

**პირველი** გვერდიდან

ამასობაში კი, ქუჩებში ''დემოკრატიის დასაცავად'' ხალხის (რომელთაგან 70% დემოკრატია „ალაჰ ექბერ“ და ერდოღანმა დიდხანს იცოცხლოსო ჰგონიათ) მიერ სკანდირებული „İDAM GELSİN“, ანუ დაბრუნდეს სიკვდილით დასჯის მოთხოვნა, პრეზიდენტისაგან მიღებული იქნა და თუკი პარლამენტიც მიიღებს ამ გადაწყვეტილებას, მე ხელს მოვაწერო, განაცხადა, რადგან ხალხის მოთხოვნის (თითქოს თავად არ ჩაეტენა ეს მოთხოვნა მათ ტვინებში) გაუთვალისწინეობა, დემოკრატიული პრინციპების ღალატი იქნებოდა მისი მხრიდან.



შეგახსენებთ, რომ ა. წ. 15-16 ივლისს თურქეთის სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა იყო, რომელიც მარცხით დამთავრდა. თუმცა, მომხდარის გაანალიზებისას ვრწმუნდებით, რომ სერიოზული მცდელობა არსებული პოლიტიკური ხელმძღვანელობის შეცვლისა, ან პარალიზებისა, არ ყოფილა, რადგან არ ჰყოლიათ მთავარი, მომზადებული ლიდერი, რომელიც გადამწყვეტ მომენტში სიტყვას იტყოდა. არც კომუნიკაციის სტრატეგია არსებობდა, არც კრიტიკული და არც შეიარაღებული ძალების მობილიზება ყოფილა (ბევრი თურქი პოლიტოლოგის აზრით, მსგავსი „გადატრიალება“ არც გაუგიათ) იყო მხოლოდ ბრძანება მიღებული, უგზო-უკვლოდ, საცოდავი ოცეული ჯარისკაცების მიერ რამდენიმე ობიექტის (სტამბულის ბოსფორის ხიდი, ანკარაში სამთავრობო შენობა, TRT 1 მაუწყებლობა, მარმარისში დასასვენებლად მყოფი პრეზიდენტის სასტუმრო) შეუთანხმებელი მიზანში ამოღება. იყო მცირე მსხვერპლიც.



რეჯეპ ტაიპ ერდოღანი



ფეთჰულა გიულენი

სავარაუდოდ, ოფიცერთა ვიწრო წრეში დარწმუნებულები იყვნენ, რომ არსებული მთავრობის პოლიტიკით უკმაყოფილო საზოგადოება, როგორც კი ამის საშუალება მიეცემოდათ, აღდგებოდა. მაგრამ თუ ეს ასე იყო, ისინი შეცდნენ .შეცდნენ, რადგან, მიუხედავად არსებული ხელისუფლების პოლიტიკის მიმართ მკაცრად ოპოზიციური დამოკიდებულებისა ,თურქ ხალხს აღარ უნდა მერყევ სამხედრო და სამოქალაქო წესებთან დაბრუნება. მათ ჯერ კიდევ კარგად ახსოვთ 1960 დან 1980 წლამდე განვლილი მძიმე, სისხლიანი გზა.

მაშინ, როცა სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის ღამეს, ამბოხებულები უსაფრთხოებისათვის ხალხს სახლში დარჩენისაკენ მოუწოდებდნენ, ქვეყნის პირველმა პირმა, რეჯეპ ტაიპ ერდოღანმა, თავისი მობილურის Face Time-თი თურქ ხალხს, მხარდამჭერებს შეიარაღებული ამბოხებულების წინააღმდეგ, დემოკრატიისა და პრეზიდენტის დასაცავად ქუჩაში გამოსვლისაკენ მოუწოდა. ამ შეტაკებაში გარდაცვლილი 300 ადამიანიდან 104 სამხედროა, დანარჩენი პოლიცია და პრეზიდენტის „ქუდზე კაცზე“ გამოსულები.

სწორედ იმ საღამოს, დემოკრატიის დასაცავად ქუჩაში გამოსულმა ადამიანთა ერთმა ჯგუფმა, ბოსფორის ხიდზე მყოფ ჯარისკაცს, რომელსაც იარაღი ჰქონდა ,მაგრამ ვერ ესროლა თავის ხალხს თუნდაც თავის დასაცავად და დანებების ნიშნად ხელები ასწია, თავი მოაჭრეს. მერე კი მიცვალებული ფეხით სცემეს. დღეს ეს ჯარისკაცი და ამ თამაშში გაუცნობიერებლად ჩართული რიგითი, მკვდარი თუ ცოცხალი, თურქეთის მტრად გამოაცხადეს და მთავრობის მიერ გაცემული ბრძანების შესაბამისად, დასამარხად, არცერთმა სასაფლაომ არ უნდა გამოუყოს ადგილი. მათი ჭირისუფლები ათასგვარ გზას ეძებენ შვილების მიწისთვის მისაბარებლად. მაგალითად, ორდუელი მოკლული ჯარისკაცი მშობლებმა საკუთარ ბაღში მიაბარეს მიწას შვილი, რადგან მერიამ სასაფლაოზე მიწის გამოყოფა ვერ გაბედა. არადა, თურქეთის ოპოზიცია ,ჟურნალისტები და ყველა ,ვისაც კი ჭკუა მოეკითხება, გმობს სახელმწიფო გადატრიალების მცდელობას, მაგრამ ამავე დროს აღიარებს, რომ ამ შემთხვევაში და სხვა შემთხვევაშიც, ჯარისკაცი ჯარისკაცია და ის გენერლის ბრძანებას უნდა ემორჩილებოდეს. რიგითები, რომლებიც ბრძანების შესაბამისად დანიშნულების ადგილას მივიდნენ, გაურკვეველ სიტუაციაში აღმოჩნდნენ და ხალხის წინააღმდეგ წასვლას, ბევრმა მათგანმა იარაღის დაყრა და ჩაბარება არჩია. სისხლმოწყურებული „დემოკრატიის დამცველები“ კი ჩაქოლვითა და თავის მოჭრით გაუმასპინძლდნენ ხელებაწეულ, შეშინებულ ბავშვებს, და უფრო სამწუხარო და შემაშფოთებელია ის ფაქტი, რომ მთავრობა იმათ გვერდით, ვინც წინ აღუდგა გადატრიალებას, გმირად მოიაზრებს ამ საშინელების ჩამდენებსაც.

ცხედრებზე სახელმწიფო დროშაგადაფარებული, ერდოღანის მიერ გმირად აღიარებული ცხედრები, ჯერ კიდევ პროზექტურაში ესვენნენ მაშინ, როცა პარალელურად, პარლამენტის ტრიბუნიდან პრემიერი და პარლამენტის თავმჯდომარე პატრიოტულ ლექსებს კითხულობდნენ მქუხარე ტაშის ფონზე, ხოლო ქვეყნის პირველი პირი, საღამოს დემოკრატიის დასაცავად გამართულ მიტინგზე, გამარჯვებული და ბედნიერი მღერის და ხალხსაც იყოლიებს. სამწუხაროდ, მაინცადამაინც დიდი დარდი ვერ შევნიშნე, თუნდაც სახელმწიფო დროშაგადაფარებული გმირების მიმართაც კი.





ამ ბრძოლაში ვინ დარჩა მოგებული?!

მიუხედავად ყველაფრისა და მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტი, რომელიც მართავს თურქეთს, აშკარად გამოირჩევა ძალადობრივი მმართველობით, ამ სიტუაციამ ის მსოფლიოს თვალში იმ ადამიანად წარმოაჩინა, ვისაც არეულობის თავიდან აცილება და დემოკრატიის დასაცავად მთელი ხალხის ყოველდღიურად, დაუღალავად ქუჩაში გამოყვანა შეუძლია. ეჭვგარეშეა ისიც, რომ ეს არეულობა (თუმცა თურქეთის გარკვეულ წრეებში ვარაუდობენ იმასაც, რომ ამ სცენარის თანაავტორი ერდოღანიც შეიძლებოდა ყოფილიყო) პრეზიდენტმა წამებში თავის სასარგებლოდ შემოაბრუნა და იგი მას აუცილებლად გამოიყენებს ავტორიტარული, ისლამისტური თურქეთის შემდგომი ბიძგისათვის. ახლა უფრო სწრაფად და თამამად შეძლებს რეფერენდუმის გზით, კონსტიტუციის რეფორმირებას და ნანატრი, გაფართოებული უფლებების მქონე პრეზიდენტის ინსტიტუტის შექმნას იმ საბაბით, რომ მხოლოდ ასეთი ძალაუფლებით შეეძლება ეფექტურად და სწრაფად მტრების ჩიხში მოქცევა.

ასევე, საოცრად ხელსაყრელი მომენტი დაუდგა იმისათვის, რომ დღეს უდიდესი მტერი, ერთ დროს კი მისი მოკავშირე, მუსულმანი სასულიერო პირი, ამჟამად აშშ- ში მცხოვრები ფეთჰულა გიულენი, ყოველგვარი მტკიცებულების გარეშე სახელმწიფო გადატრიალების მცდელობაში დაედანაშაულებინა. ბევრი ფიქრობს, რომ ეს ინტრიგის მოდელის ნაწილია, თუმცა არც უგიულენობას გამორიცხავენ.

მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტის წინააღმდეგ მზარდი აღშფოთებაა, თურქი ხალხი, ყველა ძირითადი პარტია გმობს სახელმწიფო გადატრიალების მცდელობას, რადგან დარწმუნებულნი არიან, წარმატებული გადატრიალება ქვეყნისათვის კატასტროფა იქნებოდა. ამიტომ ძალიან ცუდს ცუდი ამჯობინეს, თუმცა თავად ერდოღანმა, მისმა მხარდამჭერებმა და ოპოზიციაში მყოფმა ხალხმაც კარგად უწყიან, რომ წარუმატებელი გადატრიალება სულაც არ ნიშნავს მმართველი პარტიის, მით უფრო, დემოკრატიის გამარჯვებას. სწორედ ამიტომაც გააძლიერა თავისი დიქტატურა ქვეყნის პირველმა პირმა და როგორც თავის გამოსვლებში განაცხადა, ცხოვრება გრძელდება და კიდევ ბევრ სიურპრიზს შესთავაზებს „თავის ხალხს“. დიახ, ისედაც დაყოფილი საზოგადოება კიდევ უფრო გახლიჩა და ადამიანების ტვინში მყარად ჩაბეჭდა „ ჩვენ“ და „ისინი“, მტრები და გმირები...

დიდხანს ვერ დაივიწყებს ვერცერთი მხარე გადატრიალების მცდელობის ღამეს, თურქეთის საგანგაშოდ განათებული ყველა მეჩეთიდან მოლების განწირული ყვირილის ხმას „ალაჰ აკბარ“ და შეიარაღებული ამბოხებულების წინააღმდეგ პრეზიდენტის მიერ ქუჩაში გამოძახებული მასების მოდინებას.

ვერც დემოკრატიულ და თავისუფალ ქვეყანაზე მეოცნებე ათა თურქისტები ვერ დაივიწყებენ დღეს დილით, გამთენიის 5 საათზე, ანკარის მეჩეთიდან მოლას ნაცვლად ქვეყნის პრეზიდენტის მიერ წაკითხულ ლოცვას.

ვერც თავმოჭრილ ჯარისკაცს ამოიშლიან გონებიდან და არც სახლის ეზოში, ჩუმად დამარხული, გაურკვეველი დავალების შესასრულებლად გასული და მტრად შერაცხული პირტიტველა ბიჭი დაავიწყდება შეგნებულ ნაწილს თურქეთისას. მით უფრო ვერ დაივიწყებენ ქვეყნის პირველი პირის სიმღერას ტრიბუნიდან მაშინ, როცა ასობით ცხედარი ჯერ კიდევ პროზექტურაში ესვენა.

თურქეთი ჩვენი სტრატეგიული მეზობელი ქვეყანაა და ცხადია, ყველას გვინდა იქ მშვიდობა სუფევდეს. ასევე ვამჯობინებთ დემოკრატიულ ქვეყანას ვემეზობლებოდეთ, შეგნებულ, განათლებულ ქვეყანას და, რა თქმა უნდა, ამაზრზენია იმის წარმოდგენაც კი, რომ შენს სამეზობლოში, „ალაჰ აქბარის“ დაძახებაზე ვიღაცას თავს ჭრიან და ამას ხელისუფლება აფასებს, როგორც დემოკრატიის გადასარჩენად ჩადენილ გმირულ საქციელს.

ერთი სიტყვით, თურქეთმა ძალიან ცუდს ცუდი კი არჩია, მაგრამ საღად მოაზროვნე საზოგადოება საგონებელში ჩავარდა, რომ არჩეული ამ ცუდიდან, უფრო უარესამდე არ მივიდეს ქვეყნის დემოკრატიულობის საქმე.

ხელისუფლებისაგან განსხვავებულად მოაზროვნე ხალხი შიშშია და ყოველი კარების გაღებისას „მათ“ ელოდებიან.

მე სულის სიმხნევეს ვუსურვებ თურქეთის ნამდვილი დემოკრატიისათვის მებრძოლ ხალხს. ვუთანაგრძნობ ყველა გარდაცვლილის ოჯახს. უფალმა ნათელში ამყოფოს „ორივე მხარეს“ დაღუპულთა სულები.

ასევე, მინდა თხოვნით მივმართო ჩემს თანამემამულეებს, იმათ, ვისაც თურქეთთან რაიმე კავშირი აქვთ —

იყავით ფრთხილად!

ჩვენ არც ისე ბევრნიღა დავრჩით!..

P.S. თურქეთის პრეზიდენტმა სამთვიანი საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებისას თქვა, რომ ეს გადაწყვეტილება მოქალაქეების ფუნდამენტური უფლებებისა და თავისუფლების დაცვაზე არ აისახებაო, მაგრამ უკვე რამდენიმე მოქალაქე დააკავეს, სოციალურ ქსელებში ერდოღანის საწინააღმდეგო აქტივობისათვის. ისე, გარედან, ერთი შეხედვით, ხალხი დემოკრატიის დაცვით ბედნიერი და მხიარულია. დღე სასწაულები და „დემოკრატიის დარაჯი“ გრძელდება და ყოველ საღამოს დროშების ფრიალითა და ზალპებით ამთავრებენ.

**ლია ბახუტაშვილი**

სპეციალურად გაზეთ *P.S.*-სთვის;
22 ივლისი, 2016 წელი.
სტამბული.